

სს “კორპორაცია ქინძმარაული“

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1.კორპორატიული ინფორმაცია.....	5
2.მომზადების საფუძველი.....	6
3.არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას.....	15
5.ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული.....	16
6.შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.....	17
7.თვითღირებულება.....	17
8.ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილება.....	17
9.რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები.....	17
10.საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	18
11.ფინანსური ხარჯი.....	18
12.საკურსო მოგება/(ზარალი).....	18
13.ძირითადი საშუალებები.....	19
14.საინვესტიციო ქონება.....	20
15.ბიოლოგიური აქტივები.....	20
16.სასაქონლო მატერიალური მარაგები.....	20
17.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	21
18.ფული და ფულის ეკვივალენტები.....	22
19.კაპიტალი.....	22
20.მოკლევადიანი სესხები.....	23
21.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	23
22.საგადასახადო ვალდებულება.....	24
23.ფინანსური რისკების მართვა.....	24
24.ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	28
25.პირობითი ვალდებულებები.....	28
26.საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	29

მმართველობის ანგარიშგება

I.საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა.....	31
II.ჯგუფის განვითარების პერსპექტივები, საინვესტიციო საქმიანობა.....	31
III.საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, სტრუქტურის და აქტივების დინამიკის ანალიზი, საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები.....	32
IV.საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების ძირითადი ფაქტორების აღწერილობა, საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის რისკების და ფულადი ნაკადების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ.....	35
V.ანგარიში საზოგადოების აქციების შესაბამისად გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ.....	36
VI.საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა.....	37
VII.აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა.....	37

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „კორპორაცია ქინძმარაული“-ს სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერებს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „კორპორაცია ქინძმარაული“-ს და მისი შვილობილი საწარმოების (ერთად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „კორპორაცია ქინძმარაული“-ს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *“აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”* - ნაწილში. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 30-38 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭლავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ

მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

29 ნოემბერი, 2025

თბილისი, საქართველო.

მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

29 ნოემბერი, 2025

თბილისი, საქართველო.

სს „კორპორაცია ქინძმარაული“

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული	6	19,738,173	15,960,050
კონტრაქტებიდან	7	(12,436,512)	(9,297,432)
თვითღირებულება		7,301,561	6,662,618
საერთო მოგება			
სხვა საოპერაციო შემოსავალი		1,439,476	207,677
ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი	8	77,841	81,617
ღირებულების ცვლილება			
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	9	(463,314)	(570,137)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(4,519,048)	(5,191,193)
საოპერაციო მოგება		3,836,516	1,190,582
ფინანსური შემოსავალი		250	95
ფინანსური ხარჯი	11	(62,339)	(140,411)
საკურსო მოგება/(ზარალი)	12	81,828	(104,683)
მოგება დაბეგვრამდე		3,856,205	945,583
მოგების გადასახადი		(70,588)	(18,576)
წლის სრული შემოსავალი		3,785,617	927,007

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 29 ნოემბერს:

გენერალური დირექტორი
თამაზ კონჭოშვილი

მთავარი ბუღალტერი
ვახტანგ მაჭავარიანი

სს „კორპორაცია ქინძმარაული“

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული	6	19,738,173	15,960,050
კონტრაქტებიდან			
თვითღირებულება	7	(12,436,612)	(9,297,432)
საერთო მოგება		7,301,561	6,662,618
სხვა საოპერაციო შემოსავალი		1,439,476	207,677
ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი	8	77,841	81,617
ღირებულების ცვლილება			
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	9	(463,314)	(570,137)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(4,519,048)	(5,191,193)
საოპერაციო მოგება		3,836,516	1,190,582
ფინანსური შემოსავალი		250	95
ფინანსური ხარჯი	11	(62,389)	(140,411)
საკურსო მოგება/(ზარალი)	12	81,828	(104,683)
მოგება დაბეგვრამდე		3,856,205	945,583
მოგების გადასახადი		(70,588)	(18,576)
წლის სრული შემოსავალი		3,785,617	927,007

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 29 ნოემბერს:

გენერალური დირექტორი

თამაზ კონჭოშვილი

მთავარი ბუღალტერი

ვახტანგ მაჭავარიანი

სს „კორპორაცია ქინძმარაული“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13	32,721,006	31,507,836
საინვესტიციო ქონება	14	47,721	47,721
ბიოლოგიური აქტივები	15	2,472,659	2,619,876
არამატერიალური აქტივები		8,301	9,766
სულ გრძელვადიანი აქტივები		35,249,687	34,185,199
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	16	20,337,038	20,748,951
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17	5,399,592	3,095,470
ფული და ფულის ეკვივალენტები	18	762,425	383,783
სულ მიმდინარე აქტივები		26,499,055	24,228,204
სულ აქტივები		61,748,742	58,413,403
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	19	2,361,000	2,361,000
გაუნაწილებელი მოგება	19	55,129,398	51,768,549
სულ კაპიტალი		57,490,398	54,129,549
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	20	508,874	210,600
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		508,874	210,600
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	1,800,127	2,016,641
საგადასახადო ვალდებულებები	22	190,764	137,290
მოკლევადიანი სესხები	20	1,758,579	1,919,323
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,749,470	4,073,254
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		61,748,742	58,413,403

სს „კორპორაცია ქინძმარაული“

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	2,361,000	50,946,376	53,307,376
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	927,007	927,007
ოპერაციები მესაკუთრებთან:			
დივიდენდის გამოცხადება	-	(104,834)	(104,834)
31 დეკემბერი 2023	2,361,000	51,768,549	54,129,549
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	3,785,617	3,785,617
ოპერაციები მესაკუთრებთან:			
დივიდენდის გამოცხადება	-	(424,768)	(424,768)
31 დეკემბერი 2024	2,361,000	55,129,398	57,490,398

სს „კორპორაცია ქინძმარაული“

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2024	2023
წლის სრული შემოსავალი	3,785,617	927,007
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,820,404	1,874,668
ფინანსური ხარჯი	62,389	140,411
საპროცენტო შემოსავალი	-	(95)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	456,254	89,856
მოგების გადასახადის ხარჯი	70,588	18,576
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოყენება/(ზრდა)	(367,073)	616,711
საკურსო ზარალი	(81,828)	104,683
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის კორექტირებებამდე	5,746,351	3,771,817
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:	-	-
ცვლილებები საქონელში	(44,341)	(1,799,595)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(1,868,279)	244,325
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	(610,270)	(669,469)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(17,114)	(73,210)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	3,206,347	1,473,868
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(18,576)
გადახდილი პროცენტი	(211,214)	(264,944)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,995,133	1,190,348
საინვესტიციო აქტივობები		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(2,884,892)	(1,973,295)
ბიოლოგიური აქტივების შესყიდვა	-	(136,983)
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(2,884,892)	(2,110,278)
ფინანსური აქტივობები		
აღებული/(დაფარული) სესხი	300,994	(878,936)
გადახდილი დივიდენდი	-	(104,834)
მიღებული პროცენტი	-	95
ფინანსურ აქტივობებში მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	300,994	(983,675)
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ეკვივალენტების	411,235	(1,903,605)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	383,783	2,422,750
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(32,593)	(135,362)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	762,425	383,783

1. კორპორატიული ინფორმაცია

კორპორაცია ქინძმარაული (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია 1996 წლის 12 სექტემბერს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 241557409.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ღვინის წარმოება. კომპანიას აქვს საკუთარი ვენახები და ღვინის ქარხანა ყვარელში. კომპანია აგრეთვე ფლობს ჰიდროელექტრო სადგურს („ჰესი“) ყვარელთან ახლოს.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია კახეთი, ყვარლის რაიონი, ქალაქი ყვარელი, ი. ჭავჭავაძის ქ. 55

კომპანიის აქციონერები და ინვესტიციები: კომპანიის აქციონერების სტრუქტურა, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის, მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგანაირად:

კომპანიის აქციონერები	31 დეკემბერი 2024 (%)	31 დეკემბერი 2023 (%)
თამაზ კონჭოშვილი	63.94%	63.94%
ეკატერინე ამირანაშვილი	23.94%	23.94%
ელგუჯა ცირიკაშვილი	5.93%	5.93%
სხვა აქციონერები	6.19%	6.19%

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არის შემდეგი საწარმოების მშობელი (შემდგომში ერთად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“):

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	31 დეკემბერი 2024 (%)	31 დეკემბერი 2023 (%)
შპს „კონჭო და კომპანია“	ალკოჰოლური სასმელების წარმოება და რეალიზაცია	100%	100%
შპს „კახეთი კომპანი“	ალკოჰოლური სასმელების წარმოება და რეალიზაცია	100%	100%
შპს „მატო ყვარელი“	სასტუმრო-სარესტორნო მომსახურება	100%	100%
შპს „ილიას მამული“	ღვინის წარმოება	100%	100%
შპს „ოქროს კახეთი“	საიუვילერო ნაწარმით ვაჭრობა	100%	100%
შპს „საქართველოს ღვინის გზა“	ტურისტული მომსახურება	100%	100%

საქართველოს ბიზნეს გარემო. ჯგუფი საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2024 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ამავე პერიოდის კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას და კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

განცხადება შესაბამისობაზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასების) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება ასევე შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

მიმდინარე წელს ჯგუფმა გამოიყენა საბჭოს მიერ გამოშვებული ფას სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური

პერიოდებისათვის.

- საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება);
- ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად, კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ის შესწორება);
- მიმწოდებლის ფინანსები (ცვლილება ბასს 7-სა და ფასს 7-ში);

აღნიშნული ცვლილებების გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე.

ჯგუფი 2023 წლიდან გადავიდა ახალ საბუღალტრო პროგრამაზე, მონაცემების მიგრაცია და ნაშთების გასწორება არ იყო დასრულებული 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული პროცესი დასრულდა 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის რის შედეგადაც მატერიალური სხვაობები არ იდენტიფიცირებულა.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდაციის საფუძველი.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს. იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ითვალისწინებს ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას, მათ შორის:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან სახელშეკრულებო გარიგება/გარიგებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები;

მიდა ჯგუფური გარიგებები, ნაშთები და არარეალიზებული შემოსულობა ამ გარიგებებიდან, ასევე ზარალი ამ გარიგებებიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ასახავს გადაცემული აქტივის გაუფასურებას, კონსოლიდირებული ანგარიშგების შედგენის მიზნით სრულად გაქვითულია. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვლილია ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქარველოს ეროვნული ბანკის ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის	
	ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

დაუმთავრებელი მშენებლობა. დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი დასრულებული სამუშაოს ღირებულება. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ ჯგუფს შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდია:

ჯგუფი	მომსახურების ვადა/ ცვეთის მეთოდი
შენობა-ნაგებობები	2%-5% წრფივად
მანქანა-დანადგარები	8%-20% შემცირებადი ნაშთით
ჰესთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა	2.5%-7% წრფივად
სხვა აქტივები	20% შემცირებადი ნაშთით

ბიოლოგიური აქტივები. გაშენებული/შემძენილი ვენახების აღრიცხვისთვის ჯგუფი იყენებს თვითღირებულების მოდელს. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც გაიწია ვენახის იმ მდგომარეობაში და კონდიციაში მოსაყვანად, რაც აუცილებელი იყო ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად.

ვაზის გაშენება წარმოადგენს ხარჯს, რომელიც გაიწია ახალი ვაზის ჩასაყრელად და მოსავლელად პირველი მოსავლის მოწვევამდე. მას შემდეგ, რაც ვაზი მოსავალს იძლევა, წყდება ხარჯების კაპიტალიზირება და დაგროვილი დანახარჯები მიეკუთვნება მწიფე ვენახებს და მათი სასარგებლო მომსახურების ვადას ერიცხება ცვეთა.

მრავალწლიანი ნარგავები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

ჯგუფი ბიოლოგიური აქტივების ცვეთის კალკულაციისთვის იყენებს წრფივ მეთოდს.

ჯგუფი ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებულ სოფლის მეურნეობის პროდუქტს აფასებს რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო სავარაუდო დანახარჯები, ნაყოფის მიღების მომენტში.

ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ნაყოფის მომცემი ვენახები	30 წელი

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფი ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც სავალდებულოა გაუფასურებაზე ტესტირება ყოველწლიურად, ჯგუფი აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოღინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღრიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომი შეფასებისას ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოადგენს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად ნორმატიული დანაკარგების გათვალისწინებით. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

საკუთარი წარმოების პროდუქციის შემთხვევაში თვითღირებულებაში, ნედლეულის გარდა შედის სახელფასო ხარჯი, ელექტროენერგიის ხარჯი და სხვა ისეთი ზედნადები ხარჯები რისი გაწევაც აუცილებელია პროდუქციის დასამზადებლად.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში:

- 1) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SPPI);
- 2) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით ეფექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და
- 3) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი და გაითვალისწინება წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს (SPPI). თუ სავალ ინსტრუმენტი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალ ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და არის ისეთი პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც ჯგუფი ფლობს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის, ისე გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნებს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას.

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში. ჯგუფი სავალ ინვესტიციებს კლასიფიკაციას უცვლის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნეს მოდელი ამ აქტივების სამართავად იცვლება.

• **აღიარება და აღიარების შეწყვეტა.** ჯგუფი აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ჯგუფი ხდება სახელშეკრულებო პირობების ერთ-ერთი მხარე. ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ფინანსური აქტივების შესყიდვებისა და გაყიდვების აღიარება ხდება ვაჭრობის დღეს, რომელ დღესაც ჯგუფი იღებს ვალდებულებას, რომ შეისყიდოს ან გაყიდოს აქტივს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც უფლებას, მიიღოს ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივებიდან, ვადა გაუვა ან სხვას გადასცემს და ამავე დროს გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი.

ჯგუფი ამოიღებს ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეწყდება, ანუ როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმდება ან ვადა გაუვა. სავალ ინსტრუმენტის განახლება არსებითად

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განსხვავებული პირობებით, აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ვალდებულებისა და აღიარება ახალი ვალდებულების. ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებითი მოდიფიცირება (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო), აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ფინანსური ვალდებულებისა და აღიარება ახალი ფინანსური ვალდებულების. განსხვავება შეწყვეტილი ან სხვაზე გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის) საბალანსო ღირებულებასა და გარიგების თანხას შორის, გადაცემული/აღებული არაფულადი აქტივების/ვალდებულებების ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში.

- **ღირებულების განსაზღვრა.** საწყისი აღიარებისას ჯგუფი ფინანსური აქტივის ღირებულებას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით, იმ შემთხვევაში როცა ფინანსური აქტივი არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით (FVPL), ტრანზაქციის დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენაზე ემატება ღირებულებას. ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც აღიარებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით, გარიგების დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

გარიგების დანახარჯები არის წმინდა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. წმინდა დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ იქნებოდა, თუ მოცემული ოპერაცია არ განხორციელდებოდა. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (რწმუნებულების) (მათ შორის, გაყიდვის აგენტების რანგში მოქმედი დაქირავებული პირების), კონსულტანტების, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საზღაურსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, ასევე გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო ფინანსური ინსტრუმენტების პრემიებსა და დისკონტებს, დაფინანსების დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ დანახარჯებს, ან ფლობის დანახარჯებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ფინანსური აქტივები მასში ჩანერგილი წარმოებულებით განიხილება ერთობლიობაში, რათა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირისა და პროცენტის მიღებას.

სავალო ინსტრუმენტების შემდგომ შეფასება დამოკიდებულია ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გულისხმობს აქტივებისა და აქტივების ფულადნაკადობრივი მახასიათებლების მართვას. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც ჯგუფი ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

- **ამორტიზირებული ღირებულება.** აქტივები, რომლებსაც ჯგუფი ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად, სადაც აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირისა და პროცენტის ანაზღაურებას, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით განსაზღვრულ ფინანსურ შემოსავალს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი შემოსულობები და დანაკარგების აღიარება ხდება პირდაპირ მოგება-ზარალში. გაუფასურების ხარჯები ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისში.

- **FVOCI.** აქტივები, რომლის ფლობის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და გაყიდვა და ამავე დროს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირს და პროცენტს წარმოადგენს ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI). ყველა ცვლილება აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურებასთან დაკავშირებული შემოსულობის/ზარალისა, საპროცენტო შემოსავლისა და საკურსო

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- სხვაობებისა, რაც აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას ამ პერიოდამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა/ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგება-

ზარალის უწყისში. ასეთ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

- **FVPL.** აქტივები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამორტიზირებული ღირებულებების ან FVOCI-ის კრიტერიუმებს ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVPL).

- **წილობრივი ინსტრუმენტები.** წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

• **გაუფასურება.** ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ამისთვის ფასდება ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობა. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც დამოკიდებულია ხელშეკრულებით არებული ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის დონეზე. შედეგად, განისაზღვრება სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. ჯგუფი მოთხოვნას მიმდინარედ განიხილავს წარმოშობიდან სამი თვის განმავლობაში.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ჯგუფის ფინანსური აქტივები ყველა წარდგენილი ანგარიშგების თარიღისთვის ხდება იმ კატეგორიაში რომელიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით და მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს.

• **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.** ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: 1) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და 2) სხვა ფინანსური ვალდებულებები.

გასაყიდად ფლობილი წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, ცვლილებები რეალურ ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა (FVPL).

ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებაში ცვლილებები, იმ დროს როდესაც ჯგუფი იყენებს FVPL-ს მოდელს, შეუქცევადად აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში (OCI), თუ:

- სხვა სრულ შემოსავალში წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის მოგება-ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამოებს; ან

- ვალდებულება არის სავალო ვალდებულება ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი.

• **ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა.** ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: 1) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას; 2) დეფოლტისას; 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრებისას.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა - ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას. გარდა ამისა ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ასევე წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე ან მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე. მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც არსებული გარემოებებისთვის შესაფერისია და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები

მოიძევა, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ ემპირიულ მონაცემებს და მინიმალურად - არაემპირიულ მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებებში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი

სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარდგენის მიზნით, ჯგუფმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. მოთხოვნა კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივი.

სავაჭრო-კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე

გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული

გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და ჯგუფს ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია საკუთარ კაპიტალად. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

ამონაგების აღიარება. ფასს 15-ის მოთხოვნების მიხედვით ჯგუფი აღრიცხავს შემდეგი სახის შემოსავლებს: ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია, ელექტროენერგიის რეალიზაცია და სარესტორნო და სასტუმრო მომსახურება.

ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია ხორციელდება როგორც საქართველოში ისე ექსპორტზე. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება პროდუქციაზე კონტროლის უფლების გადაცემა, რაც გულისხმობს პროდუქციის მომხმარებელზე გადაცემას.

შემოსავალი რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორც არის სასტუმროს მომსახურება, აღიარდება დროთა განმავლობაში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავალი საკვები და სასმელის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტრაქტი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც ფიზიკური მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული. ჯგუფი მომხმარებლებს არ სთავაზობს გარანტიებს, გადახდილი თანხის ანაზღაურების და პროდუქციის დაბრუნების უპირობო უფლებას. ჯგუფი არ გეგმავს ისეთი გარიგებების განხორციელებას, რომლის შემთხვევაშიც პერიოდი პროდუქციის კლიენტისთვის გადაცემის მომენტიდან ღირებულების ანაზღაურებამდე აღემატება ერთ წელს.

მომხმარებელთან დადებულ კონტრაქტებთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები. როდესაც კონტრაქტის მონაწილე რომელიმე მხარე შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებას, ჯგუფი ვალდებულია აღრიცხოს კონტრაქტი ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო აქტივი ან ვალდებულება, რაც დამოკიდებულია ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოსა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის დამოკიდებულებაზე. ჯგუფი ვალდებულია წარადგინოს ნებისმიერი უპირობო უფლებები ცალკე, როგორც მისაღები დებიტორული დავალიანება.

საკონტრაქტო აქტივები. როდესაც ჯგუფი მომხმარებელს გადასცემს საქონელს/მომსახურებას მომხმარებლის მიერ საქონლის საფასურის გადახდამდე ან გადახდის ვადის მოსვლამდე, ჯგუფი გარიგებას აღრიცხავს როგორც კონტრაქტულ აქტივს, გარდა იმ თანხისა, რომელიც წარმოდგენილია როგორც მისაღები დებიტორული დავალიანება.

საკონტრაქტო ვალდებულებები. მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები ან ჯგუფის უპირობო უფლებები საქონლის გადაცემამდე კლიენტებისგან კომპენსაციის მიღებაზე აღიარდება როგორც კონტრაქტული ვალდებულებები. კონტრაქტული ვალდებულებები აღირიცხება ავანსის გადახდისას ან გადახდის ვადის დადგომისას (ამ ორიდან რომელიც უფრო ადრე მოხდება). კონტრაქტული ვალდებულებები წარმოადგენენ ჯგუფის ვალდებულებას, მომხმარებლებს გადასცენ საქონელი, რომლის სანაცვლოდაც ჯგუფს მიღებული აქვს კომპენსაცია (ან კომპენსაციის გადახდის ვადა დამდგარია).

აქტივის დაბრუნების უფლება. ეს არის ჯგუფის უფლება აღადგინოს მომხმარებლისგან დაბრუნებული მარაგის ღირებულება. ის აღირდება დასაბრუნებელი აქტივის თვითღირებულებით, შემცირებული დაბრუნების გამო აქტივის ღირებულების შემცირებით ან მარაგის მობრუნებასთან დაკავშირებული ხარჯებით.

აქტივის დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულებები. ეს არის ჯგუფის ვალდებულება რომ დაუბრუნოს მომხმარებელს მიღებული ან მისაღები ანაზღაურება სრულად ან ნაწილობრივ და აღიარდება იმ თანხით, რისი დაბრუნების მოლოდინიც აქვს ჯგუფს ანგარიშგების თარიღისთვის. ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ანახლებს შეფასებებს რაც გამოიყენება ამ ვალდებულებების აღსარიცხავად. კონტრაქტის გაფორმების დამატებითი ხარჯები. ჯგუფი მომხმარებელთან კონტრაქტის გაფორმების დამატებით ხარჯებს აღიარებს, როგორც აქტივს იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია მისი ამორტიზირება თორმეტ თვეზე დიდი პერიოდის განმავლობაში.

კონტრაქტის გაფორმების დამატებით ხარჯებს წარმოადგენს ის ხარჯები, რომლებსაც ჯგუფი გასწევს მომხმარებელთან კონტრაქტის გაფორმებისთვის და რომლის გაწევის აუცილებლობა არ წარმოიშობოდა თუ არ მოხდებოდა კონტრაქტის გაფორმება. კონტრაქტის გაფორმების დამატებითი ხარჯები, რომელთა გაწევა მოხდებოდა მიუხედავად იმისა, გაფორმდა თუ არა კონტრაქტი, აღირიცხება ხარჯებად მათი გაწევისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ხარჯების გაწევა სრულად ხორციელდება მომხმარებლის მიერ მიუხედავად იმისა, გაფორმდება თუ არა კონტრაქტი. ჯგუფს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ ქონია კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯები.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

სახელმწიფო გრანტი. სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი რწმუნება, რომ:

ა) ჯგუფი შეასრულებს გრანტთან დაკავშირებულ პირობებს; და

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბ) გრანტი იქნება მიღებული.

სახელმწიფო გრანტის აღიარება არ ხდება მანამ, სანამ ჯგუფს არ ექნება იმის საკმარისი რწმუნება, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და მიიღებს გრანტს.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად. ვალდებულება მიმდინარეა, თუ:
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის სავაჭრო მოთხოვნებზე

ჯგუფი იყენებს რეზერვების მატრიცას რომ იანგარიშოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე. ანარიცხის განაკვეთები ეფუძნება მსგავსი გაუფასურების ინდიკატორების მქონე მოთხოვნების ერთობლიობას დაჯგუფებულს ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. რეზერვების მატრიცა ეყრდნობა ისტორიულ მონაცემებს რომელიც ახლდება ყოველი წლის ბოლოს მომავალზე ორიენტირებული მიდგომების გათვალისწინებით.

ისტორიულ განაკვეთებს, ეკონომიკის საპროგნოზო მაჩვენებლებსა და ECL-ს შორის უერთიერთკავშირის შეფასება მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებას წარმოადგენს. ჯგუფის ისტორიული საკრედიტო დანაკარგებით და ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზირებით შეფასებული ანარიცხები შესაძლოა განსხვავდებოდეს ფაქტიური ზარალისგან.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

- ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- საგადასახადო კანონმდებლობა.

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით

საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

- მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება.

ჯგუფის მიერ აღებული მოსავალი შეფასებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით მოსავლის აღების დროისთვის. ყურძნის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების მომენტში საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ყურძნის საბაზრო ფასით შეფასებასისას ჯგუფი ხელმძღვანელობს საკუთარი გამოცდილებისა და ღვინის სააგენტოს მიერ მიწოდებული ფასებით.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

ჯგუფს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში. მოსალოდნელია, რომ ქვემოთ მოცემული ახალი და კორექტირებული სტანდარტები, არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას მომავალში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- უცხოური ვალუტის გასაცვლელი კურსის დროებითი არარსებობა (ცვლილებები ბასს 21-ში);
- ცვლილება ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაში და შეფასებაში (ცვლილება ფასს9 და ფასს 7);
- 2027 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის ფასს 18;
- 2027 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის ფასს 19;

სს „კორპორაცია ქინძმარაული“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

	2024	2023
ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია	18,083,979	14,353,558
ელექტროენერგიის რეალიზაცია	620,278	454,355
შემოსავალი სარესტორნო მომსახურებიდან	375,365	410,916
შემოსავალი სასტუმრო მომსახურებიდან	184,630	225,174
სხვა	473,921	516,047
სულ	19,738,173	15,960,050

6.1 დეზაგრეგირებული ინფორმაცია სასმელების რეალიზაციის შესახებ:

	2024	2023
ევროპა	13,214,890	10,396,474
აზია	3,018,627	2,867,544
ჩრდილოეთ ამერიკა	1,850,462	1,089,540
სულ	18,083,979	14,353,558

7. თვითღირებულება

	2024	2023
ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების თვითღირებულება	(10,995,607)	(8,032,057)
ელ. ენერგიის თვითღირებულება	(692,217)	(558,276)
სასტუმროსა და რესტორნის თვითღირებულება	(527,904)	(468,225)
სხვა	(220,884)	(238,874)
სულ	(12,436,612)	(9,297,432)

8. ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილება

	2024	2023
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაწილში გადატანილი		
აღებული მოსავლის (ყურძნის) რეალური ღირებულება	1,412,446	1,627,296
მოსავლის მოყვანის დანახარჯები	(1,334,605)	(1,545,679)
სულ	77,841	81,617

9. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები

	2024	2023
საშუამავლო მომსახურება	(202,172)	(301,638)
მარკეტინგის ხარჯი	(178,077)	(182,209)
ტრანსპორტირების ხარჯი	(79,275)	(82,596)
სხვა	(3,790)	(3,694)
სულ	(463,314)	(570,137)

სს „კორპორაცია ქინძმარაული“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(2,832,452)	(2,153,675)
მარაგების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	(456,254)	(89,856)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(392,524)	(375,025)
ცვეთა და ამორტიზაცი	(377,151)	(293,020)
საკონსულტაციო ხარჯები	(257,922)	(397,702)
მივლინების ხარჯი	(134,285)	(122,927)
კომუნალური ხარჯი	(112,222)	(166,074)
სამეურნეო ხარჯები	(83,847)	(141,048)
რემონტის და ექსპლუატაციის ხარჯები	(68,881)	(246,820)
საბანკო ხარჯი	(46,325)	(45,374)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის რევერსირება/(ხარჯი)	367,073	(616,711)
სხვა	(124,258)	(542,961)
სულ	(4,519,048)	(5,191,193)

11. ფინანსური ხარჯი

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე	(62,357)	(140,411)
საპროცენტო ხარჯი ადგილობრივი დაწესებულებისგან აღებულ გარანტიაზე	(32)	-
სულ	(62,389)	(140,411)

12. საკურსო მოგება/(ზარალი)

	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	68,770	77,552
მიღებული სესხები	14,639	(25,194)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31,012	(21,679)
ფული და ფულის ეკვივალენტები	(32,593)	(135,362)
სულ	81,828	(104,683)

სს „კორპორაცია ქინძმარაული“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ჰესთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა*	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	სულ ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2022	8,554,438	16,748,724	10,832,316	1,071,500	566,975	1,972,441	39,746,394
შემოსვლა	309,700	232,852	321,518	-	967,154	155,733	1,986,957
გადატანა	-	1,499,432	26,217	-	(1,525,649)	-	-
გასვლა	-	-	(93,514)	-	-	(78,378)	(171,892)
31 დეკემბერი 2023	8,864,138	18,481,008	11,086,537	1,071,500	8,480	2,049,796	41,561,459
შემოსვლა	2,016,868	72,545	10,802	-	358,635	707,610	3,166,460
გასვლა	(268,970)	-	(10,008)	-	-	(43,444)	(322,422)
31 დეკემბერი 2024	10,612,036	18,553,553	11,087,331	1,071,500	367,115	2,713,962	44,405,497
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2022	-	(2,173,161)	(4,789,185)	(378,955)	-	(1,142,592)	(8,483,893)
ცვეთის ხარჯი	-	(448,607)	(1,027,045)	(76,853)	-	(175,455)	(1,727,960)
გასვლა	-	-	86,355	-	-	71,875	158,230
31 დეკემბერი 2023	-	(2,621,768)	(5,729,875)	(455,808)	-	(1,246,172)	(10,053,623)
ცვეთის ხარჯი	-	(488,250)	(856,004)	(76,721)	-	(250,747)	(1,671,722)
გასვლა	-	-	4,086	-	-	36,768	40,854
31 დეკემბერი 2024	-	(3,110,018)	(6,581,793)	(532,529)	-	(1,460,151)	(11,684,491)
საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2023	8,864,138	15,859,240	5,356,662	615,692	8,480	803,624	31,507,836
31 დეკემბერი 2024	10,612,036	15,443,535	4,505,538	538,971	367,115	1,253,811	32,721,006

*ჰესთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა მოიცავს ჰესის ფუნქციონირებაში მონაწილე მანქანა-დანადგარებსა და ტექნიკას.

ცვეთის ხარჯი შედის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში. ჯგუფს იპოთეკით დატვირთული აქვს 4,989,259 ლარის საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებები.

სს „კორპორაცია ქინძმარაული“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს, რომელთა მისამართია: თბილისი, სოფელი დიდომი (თელოვანი) და ამბროლაური, სოფელი ღვარა. საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

15. ბიოლოგიური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ნაყოფის მომცემი ვენახები	ზრდადაუსრულებელი ვენახები	სულ ბიოლოგიური აქტივები
31 დეკემბერი 2022	3,209,805	34,287	3,244,092
შემოსვლა	-	135,916	135,916
ზრდადაუსრულებელიდან გადატანა გასვლა/ჩამოწერა	170,203	(170,203)	-
	-	-	-
31 დეკემბერი 2023	3,380,008	-	3,380,008
შემოსვლა	-	-	-
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2024	3,380,008	-	3,380,008
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2022	(613,424)	-	(613,424)
ცვეთის ხარჯი	(146,708)	-	(146,708)
31 დეკემბერი 2023	(760,132)	-	(760,132)
ცვეთის ხარჯი	(147,217)	-	(147,217)
31 დეკემბერი 2024	(907,349)	-	(907,349)
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2023	2,619,876	-	2,619,876
31 დეკემბერი 2024	2,472,659	-	2,472,659

16. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნედლეული და მასალები	18,381,256	18,635,662
დაუმთავრებელი პროდუქცია	1,614,668	1,675,523
მზა პროდუქცია	1,119,135	992,765
სხვა	370,258	228,945
	21,485,317	21,532,895
მარაგების გაუფასურების რეზერვი	(1,148,279)	(783,944)
სასაქონლო მატერიალური მარაგი, ნეტო	20,337,038	20,748,951

მარაგის თვითღირებულება, რომელიც აღიარებულია მიმდინარე პერიოდის ხარჯად შეადგენს 10,995,607 ლარს (2023: 8,032,057).

სს „კორპორაცია ქინძმარაული“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	6,776,285	4,321,764
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	-	355,202
სხვა მოთხოვნები	59,452	33,798
სავაჭრო მოთხოვნები, ბრუტო	6,835,737	4,710,764
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,533,826)	(1,882,933)
სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო	5,301,911	2,827,831
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	517,877	705,801
შემცირებული მიუღებელი თანხებით	(420,196)	(438,162)
არაფინანსური აქტივები, ნეტო	97,681	267,639
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	5,399,592	3,095,470

მომდროება გაუფასურების ანარიცხებში:

	სავაჭრო მოთხოვნები
31 დეკემბერი 2022	(1,467,605)
მოგება/(ზარალში) აღიარებული	(509,289)
პერიოდის განმავლობაში ჩამოწერილი მოთხოვნები	93,961
31 დეკემბერი 2023	(1,882,933)
მოგება/(ზარალში) აღიარებული	349,107
31 დეკემბერი 2024	(1,533,826)

ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულება საბალანსო ღირებულების იდენტურია აქტივების მოკლევადიანობიდან გამომდინარე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	მიმდინარე	90 - 180 დღე	181 - 270 დღე	271 - 360 დღე	360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	სულ
გაუფასურებაზე ჯგუფურად შეფასებული მთლიანი ღირებულება	628,959	60,710	85,945	106,071	396,522	1,278,207
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(23,553)	(9,668)	(19,081)	(13,077)	(358,716)	(424,095)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	4%	16%	22%	12%	90%	33%

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

	მიმდინარე	90 - 180 დღე	181 - 270 დღე	271 - 360 დღე	360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	სულ
გაუფასურებაზე ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნი ღირებულება	510,240	40,697	147,175	46,153	408,783	1,153,048
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,128)	(287)	(3,035)	(1,276)	(408,783)	(414,509)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0%	1%	2%	3%	100%	36%

	2024	2023
გაუფასურებაზე ინდივიდუალურად შეფასებული	5,557,530	3,557,716
გაუფასურებაზე ჯგუფურად შეფასებული	1,278,207	1,153,048
სულ	6,835,737	4,710,764

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფდა საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებისა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

18. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	600,255	299,769
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	159,864	76,779
ფული სალაროში	2,306	7,235
სულ	762,425	383,783

19. კაპიტალი

სააქციო კაპიტალის ოდენობა გაწერილია წესდების მიხედვით და შეადგენს 2,361,000 ლარს (ერთეულ ლარში), რომელიც შედგება ნებადართული და განთავსებული 45,000 ჩვეულებრივი აქციისგან, რომელთა ნომინალური ღირებულებაც შეადგენს 52.47 ლარს.

ინფორმაცია კომპანიის აქციონერების შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში. აქციონერთა კრება წვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და აქციონერთა შორის განაწილების წესს. 2024 წლის განმავლობაში ჯგუფმა გამოაცხადა დივიდენდი, 424,768 ლარის ოდენობით.

სს „კორპორაცია ქინძმარაული“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

20. მოკლევადიანი სესხები

მიღებული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	საპროცენტო სარგებელი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	სულ
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	11%-12%	ლარი	2028	1,413,696	236,573	1,650,269
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	5.5%-6.5%	ევრო	2027	344,883	272,301	617,184
				1,758,579	508,874	2,267,453

მიღებული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	საპროცენტო სარგებელი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	სულ
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	11%-13.7%	ლარი	2025	1,078,027	-	1,078,027
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	5.5%-6.5%	ევრო	2027	841,296	210,600	1,051,896
				1,919,323	210,600	2,129,923

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ უფიქსირდება კოვენანტების დარღვევა.

მიღებულ სესხებზე მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

	2024	2023
1 იანვარი	2,129,923	3,108,198
სესხის აღება	1,896,741	1,313,850
პროცენტის დარიცხვა	47,598	140,411
სესხის გადახდა	(1,581,531)	(2,192,773)
პროცენტის გადახდა	(211,214)	(264,944)
საკურსო სხვაობების ეფექტი	(14,064)	25,181
31 დეკემბერი	2,267,453	2,129,923

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	556,959	1,380,671
გადასახდელი ხელფასები და ბონუსები	528,233	209,994
გადასახდელი დივიდენდები	444,569	170,590
მიღებული ავანსები	240,239	238,439
სხვა ვალდებულებები	30,127	16,947
სულ	1,800,127	2,016,641

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

22. საგადასახადო ვალდებულება

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შედსაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით. მოგების გადასახადის ნაწილში კომპანია სარგებლობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 92-ე პუნქტით, რომლის მიხედვითაც, თუ რეზიდენტი საწარმო დივიდენდს გაანაწილებს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, მას უფლება აქვს, ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა.

23. ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაბამისი რისკები.

ჯგუფის ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს წარმოადგენს მიღებული სესხები, საიჯარო ვალდებულებები და სავაჭრო კრედიტორული დავალიანება. ფინანსური ვალდებულებები აფინანსებს ჯგუფის საოპერაციო და საინვესტიციო აქტივობებს. ჯგუფს ასევე აქვს საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან წარმოშობილი სავაჭრო დებიტორული დავალიანება და ფულადი სახსრები.

ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,835,737	4,804,724
ფული და ფულის ექვივალენტები	762,425	383,783
სულ ფინანსური აქტივები	7,598,162	5,188,507

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024
მიღებული სესხები	2,267,453	2,129,923
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,800,127	2,016,641
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,067,580	4,146,564

საკრედიტო რისკი

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან, რომელიც მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. ჯგუფი როგორც ადგილობრივ ასევე უცხოელ მყიდველებს გარკვეულ შემთხვევებში სთავაზობს კრედიტით გაყიდვებს რა შემთხვევაშიც წარმოექმნება საკრედიტო რისკი.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,835,737	4,804,724
ფული და ფულის ექვივალენტები	762,425	383,783
სულ ფინანსური აქტივები	7,598,162	5,188,507

23. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე და მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების სექტორში არსებულ ტენდენციებზე. ჯგუფი კლიენტებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და შესაბამის პოლიტიკაზე. მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და ჯგუფი დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საკრედიტო რისკის მართვა. სავაჭრო დებიტორული დავალიანება ძირითადად წარმოიშვება კონტრაჰენტებთან პროდუქციის მიწოდებით. ასეთ მომსახურებებზე ძირითადად შეთავაზებულია შემდგომი გადახდის პირობა 30 დან 120 დღემდე. გაუფასურების ანალიზი ეფუძნება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებელი ანარიცხების მატრიცას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ხდება ყოველი საანგარიშსწორებო თარიღისთვის. დარეზერვების დონე ეფუძნება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას ზარალის მსგავსი მახასიათებლების მქონე სხვადასხვა სამომხმარებლო სეგმენტების დაჯგუფების საფუძველზე. დაანგარიშებული რეზერვი ასახავს შეფასებაზე დაფუძნებულ შედეგებს, ფულის დროით ღირებულებას და გონივრულ და შესაფერის ინფორმაციას წარსული მოვლენების და არსებული პირობების შესახებ. როგორც წესი, სავაჭრო დებიტორული დავალიანება ჩამოიწერება, თუ ის ერთ წელზე მეტი პერიოდით არის ვადაგადაცილებული და არ მიდის გარკვეული სამართლებრივი ღონისძიებები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

23. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვალუტების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	რუბლი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,625,974	2,181,974	-	3,027,789	6,835,737
ფული და ფულის ექვივალენტები	166,031	160,824	-	435,425	762,425
სულ ფინანსური აქტივები	1,792,005	2,342,798	-	3,463,214	7,598,162
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	1,650,269	-	-	617,184	2,267,453
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,487,369	211,607	-	101,151	1,800,127
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,137,638	211,607	-	718,335	4,067,580

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვალუტების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	რუბლი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,437,233	1,409,171	-	864,360	4,710,764
ფული და ფულის ექვივალენტები	198,589	143,277	-	41,914	383,783
სულ ფინანსური აქტივები	2,635,822	1,552,448	-	906,274	5,094,547
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,078,027	-	-	1,051,896	2,129,923
მიღებული სესხები	1,178,046	526,141	-	312,454	2,016,641
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,256,073	526,141	-	1,364,350	4,146,564

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალის სენსიტიურობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	426,238	205,261
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	(426,238)	(205,261)
ევროს გამყარება 20%-ით	548,976	(91,615)
ევროს გაუფასურება 20%-ით	(548,976)	91,615

ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები კონცენტრირებულია როგორც ლარში ასევე უცხოურ ვალუტაში, ჯგუფს სავალუტო კურსის ცვლილებებიდან გამომდინარე არ განუცდია ზარალი. მენეჯმენტის შეფასებით ჯგუფი არ დგას მნიშვნელოვანი სავალუტო რისკების წინაშე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ჯგუფს არ აქვს ცვლად განაკვეთიანი მიღებული სესხები და შესაბამისად არ დგას ამ რისკის წინაშე.

23. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით.

ფულადი ნაკადების მართვის მიზანია, რომ მუდმივად იქონიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები, საკმარისი ორი თვის განმავლობაში. ეს გამოიწვევს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომლის წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია; ამგვარი ვითარებები მოიცავს ბუნებრივ კატასტროფებს.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,800,127	-	-	1,800,127
მიღებული სესხები	1,758,579	508,874	-	2,267,453
სულ ვალდებულებები 31 დეკემბერი 2024	3,558,706	508,874	-	4,067,580

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,016,641	-	-	2,016,641
მიღებული სესხები	1,919,323	210,600	-	2,129,923
სულ ვალდებულებები 31 დეკემბერი 2023	3,935,964	210,600	-	4,146,564

რეალური ღირებულება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე.

კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

• უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა;

და გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

24. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ნაშთები დაკავშირებული მხარეების მიმართ

	დაკავშირების სახე	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები დაკავშირებული მხარის მიმართ	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	354,996	355,202

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანია	დაკავშირების სახე	2024	2023
რეალიზაცია დაკავშირებულ მხარეზე	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	119,851	142,915

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2024	2023
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	401,940	398,771

25. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ჯგუფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჰქონდა მიმდინარე სასამართლო დავა, სადაც ჯგუფი წარმოადგენდა მოპასუხე მხარეს. აღნიშნული დავა დაკავშირებულია ერთ-ერთი აქციონერის - ეკატერინე ამირანაშვილის სარჩელთან მშობელი კომპანიის წინააღმდეგ შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

მოსარჩელე ითხოვს გაუნაწილებელი მოგებიდან თავის კუთვნილებაში არსებული აქციათა წილის პროპორციულად გაიცეს დივიდენდი და დივიდენდის შესაბამისი საპროცენტო სარგებელი, რომელიც შეადგენს 8,666,655.23 ლარს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ვინაიდან კანონით იმპერატიულად დადგენილია დივიდენდის გაცემის ფორმა და განსაზღვრულია გადაწყვეტილების მიმღებად უფლებამოსილი ორგანო, აღნიშნული მოთხოვნა უსაფუძვლოა და კომპანიის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და არგუმენტების გათვალისწინებით სასამართლო არ დააკმაყოფილებს მოსარჩელის მოთხოვნას.

მოსარჩელე ითხოვს ნუგზარ ქსოვრელს და თამაზ კონჭოშვილს სოლიდარულად დაეკისროთ 10,337,621 ლარი, ხოლო თამაზ კონჭოშვილს ცალკე 50,000 ლარი, ალექსანდრე ბილანიშვილს 50 000 ლარი და ელგუჯა ცირეკიძეს 50 000 ლარი კომპანიის სასარგებლოდ. აღნიშნული დავა უკავშირდება გარკვეული სარგებლის კომპანიაში შემოსვლას, რომლის მოხდენის ალბათობაც მენეჯმენტის შეფასებით საკმაოდ დაბალია, ასევე აღნიშნული დავის დასრულების არცერთი შესაძლო შედეგი არ გამოიწვევს კომპანიიდან აქტივების გადინებას.

აღნიშნული დავა მიმდინარეობს 2015 წლიდან, ამ ეტაპზე ჩატარდა ორი მოსამზადებელი სხდომა და მხარეები ელოდებიან სასამართლოს მიერ შემდეგი სხდომის ჩანიშვნას.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, არ მომხდარა ისეთი მოვლენა რაც მოითხოვს დამატებით ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

სს „კორპორაცია ქინძმარაული“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წელს გაწეული სამუშაოს შედეგების მიხედვით

I. საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

სააქციო საზოგადოება კორპორაცია „ქინძმარაული“ (მშობელი კომპანია) მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება მოიცავს როგორც თავად სს კორპორაცია „ქინძმარაული“, ასევე მისი შვილობილი საწარმოების საქმიანობის შედეგებს. კორპორაცია „ქინძმარაული“ მოქმედი შვილობილი საწარმოებია:

- შპს „კონჭო და კომპანია“, ს/ნ 241565702, მისამართი ქ. ყვარელი ერეკლე მეორეს ქ.#10. საქმიანობის ძირითადი სფეროა ალკოჰოლური სასმელების წარმოება და რეალიზაცია;
- შპს „კახეთი-კ“, ს/ნ 241569209, მისამართი ქ. ყვარელი კუდიგორის ქ.#2. საქმიანობის ძირითადი სფეროა ალკოჰოლური სასმელების წარმოება და რეალიზაცია;
- შპს „მატო ყვარელი“, ს/ნ 441555988, მისამართი ქ. ყვარელი კუდიგორის ქ.#1ა. საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება.
- შპს „ოქროს კახეთი“, ს/ნ 441562382, მისამართი ქ. ყვარელი ჭავჭავაძის ქ.# 55. საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს საიუველიერო ნაწარმით ვაჭრობა.
- შპს „საქართველოს ღვინის გზა“, ს/ნ 241582532, მისამართი ქ. ყვარელი ჭავჭავაძის ქ.# 55. საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს ტურისტული მომსახურება.
- შპს „ილიას მამული“, ს/ნ 441562505, მისამართი ქ. ყვარელი ჭავჭავაძის ქ.# 55. საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს ღვინის წარმოება ყურძნისაგან.

თავად სს კორპორაცია „ქინძმარაული“, ს/ნ 241557409, მისამართი ქ.ყვარელი, ჭავჭავაძის ქ.# 55, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის საქმიანობის სფეროს შეადგენს: სოფლის მეურნეობა-ძირითადად მევენახეობა; ყურძნის წარმოება-გადამუშავება; ალკოჰოლური სასმელების, მათ შორის ბრენდის წარმოება -რეალიზაცია. აგრეთვე საწარმოს ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიის წარმოება.

მშობელი კომპანიის მფლობელობაშია ასევე ჰიდროელექტროსადგური, რომლის დადგმული სიმძლავრე 1,5 მეგავატია.

ჯგუფი შვილობილი საწარმოების ჩათვლით აწარმოებს ღვინის, ბრენდის რეალიზაციას ექსპორტზე და ადგილობრივ ბაზარზე.

2025 წელს შეიცვალა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახდა სერგო შულაროვი. მოადგილე ნინო სტეფანიშვილი. ხოლო წევრი: მართა წიწრიაშვილი. საანგარიშგებო წელს სამეთვალყურეო საბჭოს მთელი საქმიანობა აქციონერთათვის გამჭვირვალედ რჩებოდა, რადგან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ყველა ოქმი ხელმისაწვდომია საზოგადოების ნებისმიერი აქციონერისათვის, მისი მოთხოვნის შესაბამისად.

მომდევნო წლებში სამეთვალყურეო საბჭო და საზოგადოების მენეჯმენტი უპირველეს ყურადღებას დაუთმობს კორპორაციული მართვის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს, კომპანიის მომგებიანობის ამაღლებას, ასევე პროდუქციის გასაღების ძირითად ბაზრებზე მდგრად, საიმედო და კონკურენტუნარიან პოლიტიკას.

II. ჯგუფის განვითარების პერსპექტივები, საინვესტიციო საქმიანობა

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- საექსპორტო ქვეყნების და პარტნიორების მოძიება საექსპორტო პორტფელის დივერსიფიკაციის მიზნით;

სს „კორპორაცია ქინძმარაული“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

II. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები, საინვესტიციო საქმიანობა (გაგრძელება)

- პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა და კონტროლი.

რაც შეეხება საინვესტიციო საქმიანობას - საზოგადოება ახორციელებს საინვესტიციო პოლიტიკას ეკონომიკური ეფექტურობის და მიზანშეწონილობის პრინციპების საფუძველზე.

III. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, სტრუქტურის და აქტივების დინამიკის ანალიზი, საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები.

საზოგადოების 2024 წლის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით (ლარში) :

	2024	2023
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	19,738,173	15,960,050
თვითღირებულება	(12,436,612)	(9,297,432)
საერთო მოგება	7,301,561	6,662,618
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,439,476	207,677
ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	77,841	81,617
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	(463,314)	(570,137)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(4,519,048)	(5,191,193)
საოპერაციო მოგება	3,836,516	1,190,582
ფინანსური შემოსავალი	250	95
ფინანსური ხარჯი	(62,389)	(140,411)
საკუროსო მოგება/(ზარალი)	81,828	(104,683)
მოგება დაბეგვრამდე	3,856,205	945,583
მოგების გადასახადი	(70,588)	(18,576)
წლის სრული შემოსავალი	3,785,617	927,007

საზოგადოების საქმიანობის ძირითადი სფეროა ალკოჰოლური სასმელების წარმოება, რეალიზაცია, სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება და ელენერგიის წარმოება. საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

სს „კორპორაცია ქინძმარაული“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

III. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, სტრუქტურის და აქტივების დინამიკის ანალიზი, საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები (გაგრძელება)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	32,721,006	31,507,836
საინვესტიციო ქონება	47,721	47,721
ბიოლოგიური აქტივები	2,472,659	2,619,876
არამატერიალური აქტივები	8,301	9,766
სულ გრძელვადიანი აქტივები	35,249,687	34,185,199
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატერიალური მარაგები	20,337,038	20,748,951
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,399,592	3,095,470
საგადასახადო აქტივი	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	762,425	383,783
სულ მიმდინარე აქტივები	26,499,055	24,228,204
სულ აქტივები	61,748,742	58,413,403
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	2,361,000	2,361,000
გაუნაწილებელი მოგება	55,129,398	51,768,549
სულ კაპიტალი	57,490,398	54,129,549
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	508,874	210,600
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	508,874	210,600
მიმდინარე ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	1,800,127	2,016,641
საგადასახადო ვალდებულებები	190,764	137,290
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,758,579	1,919,323
სულ მიმდინარე ვალდებულებები	3,749,470	4,073,254
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	61,748,742	58,413,403

2023 წლის ბოლოსათვის სს კორპორაცია „ქინძმარაულის“ აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 58,413,403 ლარი, 2024 წელს კი - 61,748,742 ლარი. აბსოლუტურ გამოხატულებაში საანგარიშო წლის განმავლობაში აქტივების სიდიდე გაიზარა 3,335,339 ლარით სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და ძირითადი საშუალებების გაზრდის შედეგად.

საზოგადოების ლიკვიდურობის მაჩვენებლები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მაჩვენებელი		
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.64	0.85
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	7.07	5.95

სს „კორპორაცია ქინძმარაული“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

III. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, სტრუქტურის და აქტივების დინამიკის ანალიზი, საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები (გაგრძელება)

საზოგადოების საქმიანობის 2024-23 წლის ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების დინამიკა შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად:

	2024	2023
ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია	18,083,979	14,353,558
ელექტროენერგიის რეალიზაცია	620,278	454,355
შემოსავალი სარესტორნო მომსახურებიდან	375,365	410,916
შემოსავალი სასტუმრო მომსახურებიდან	184,630	225,174
სხვა	473,921	516,047
ჯამი	19,738,173	15,960,050

აქედან აღსანიშნავია ღვინის რეალიზაცია რეგიონების მიხედვით ლარში:

	2024	2023
ევროპა	13,214,890	10,396,474
აზია	3,018,627	2,867,544
ჩრდილოეთ ამერიკა	1,850,462	1,089,540
სულ	18,083,979	14,353,558

IV. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების ძირითადი ფაქტორების აღწერილობა, საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის რისკების და ფულადი ნაკადების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

ჯგუფის „ძირითადი საქმიანობა“ ალკოჰოლური სასმელების წარმოება-რეალიზაცია, სასტუმრო და სარესტორნო საქმიანობა და ელენერგიის წარმოება.

საზოგადოების საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებსაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, შემდეგია:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს მიერ ყურძნის შესყიდვასთან დაკავშირებით სუბსიდიების დაშვება ან გაუქმება, რომელიც საბოლოოდ შესასყიდი ფასის მკვეთრ ცვალებადობას იწვევს ერთი სეზონის განმავლობაში.

აგრეთვე ელ.ენერგიის ტარიფებთან დაკავშირებით დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს მიერ ტარიფების დაუსაბუთებელი რეგულირება და რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის(სემეკი) მიერ ისეთი ტარიფების შესაძლო დამტკიცებასთან, რომელიც არ ფარავს ჰესის მიმდინარე ხარჯებს. კომპანიაში ტარდება გეგმაზომიერი მუშაობა სემეკ-თან ამ რისკის წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) 27.12.2017 წ. №48 დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილებები სემეკ-ის 04.12.2008წ. დადგენილებაში №33 “ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, 2018 წლის 1 იანვრიდან დადგინდა ახალი ტარიფები ელექტროენერგიის განაწილებაზე, გატარებასა და მოხმარებაზე.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან. საანგარიშო პერიოდში საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებას, რომელსაც საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე ჰქონდა ზეგავლენა, წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის თანახმად კომპანია იბეგრება მოგების გადასახადით დივიდენდების სახით მოგების განაწილების შემთხვევაში. რეგიონში არ არსებობს შესაძლო საომარ კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და გაფიცვებთან დაკავშირებული რისკები.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკსშესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. შემოსავალი დასაოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საზოგადოება ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საზოგადოების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას

IV. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების ძირითადი ფაქტორების აღწერილობა, საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის რისკების და ფულადი ნაკადების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ (გაგრძელება)

ახდენს საზოგადოების ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, აქციონერების და სხვა კონტრაგენტების წინაშე საზოგადოების მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

საკრედიტო რისკები. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს აუცილებელი თანხების დადგენილ ვადაში სრულად გადახდას. ფინანსური აქტივები, რომელთან დაკავშირებითაც კომპანიას წარმოექმნება პოტენციური საკრედიტო რისკი, წარმოდგენილია ძირითადად სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებით, რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებებით, ასევე ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით. პრობლემური დებიტორების დროული იდენტიფიცირების და დავალიანებისთვის სათანადო რეზერვების შექმნის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობა ახორციელებს რეზერვების კონსერვატიულ პოლიტიკას. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების, რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება გაუფასურების რეზერვის, ასევე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გამოკლებით, წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების დაფარვის ტემპები დამოკიდებულია შიდა და გარე პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებაზე, კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ არ არსებობს დებიტორული დავალიანების ღირებულების შემცირებისთვის შექმნილ რეზერვის თანხაზე მეტი თანხის დანაკარგის არსებითი რისკი. კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკის არსებითი კონცენტრაცია, რადგან მისი პორტფელი დივერსიფიცირებულია სხვადასხვა ქვეყნებში არსებული რამოდენიმე შემსყიდველით.

ზედმეტი ნაღდი ფული თავსდება ფინანსურ დაწესებულებებში, რომელთაც თანხების განთავსების მომენტისთვის გააჩნიათ დეფოლტის მინიმალური რისკი.

საბაზრო რისკები. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. კომპანიას გააჩნია ღია პოზიციები საპროცენტო განაკვეთებსა და სავალუტო ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ექვემდებარება ბაზრის საერთო დასპეციფიკური რყევების ზემოქმედებას. სავალუტო რისკი წარმოიქმნება ვალუტის კურსების ცვლილების ზეგავლენით ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების შესაძლო ცვლილების შედეგად. კომპანია ექვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების ცვლილებებს, რაც ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებული ბაზრის არარსებობიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას არ გააჩნია საშუალება მოახდინოს კომპანიის სავალუტო რისკის ჰეჯირება.

ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვის სათანადო პრაქტიკა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და ფინანსირებას ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების საჭირო მოცულობით უზრუნველყოფას. კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების წინაშე.

ხელმძღვანელობის აზრით, ეს კომპანიას აძლევს საკმარისი მოქნილობა მათი დაფარვის ვადებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მისი ბიზნესის ადეკვატურ ლიკვიდურობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

V. ანგარიში საზოგადოების აქციების შესაბამისად გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ

საზოგადოების წესდების შესაბამისად აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ საზოგადოების მიერ გამოცხადებული დივიდენდები.

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდი, 424,768 ლარის ოდენობით.

VI. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა

სს კორპორაცია „ქინძმარაული“ სააქციო კაპიტალი შეადგენს 2,361,000 ლარს და დაყოფილია 45,000 ჩვეულებრივ აქციად, რომელთა ნომინალური ღირებულებაა 52,47 ლარი.

კომპანიის აქციონერები არიან:

კომპანიის აქციონერები	31 დეკემბერი 2024 (%)	31 დეკემბერი 2023 (%)
თამაზ კონჭოშვილი	63.94%	63.94%
ეკატერინე ამირანაშვილი	23.94%	23.94%
ელგუჯა ცირიკაშვილი	5.93%	5.93%
სხვა აქციონერები	6.19%	6.19%

VII. აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

აქციონერების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში.

საზოგადოების აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში, პირველ რიგში აქციონერთა კრებაზე მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით.

საზოგადოების აქციონერებს გააჩნიათ შეუზღუდავი დაშვება საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აქციონერებთან დაკავშირებით ინფორმაციული პოლიტიკა ხორციელდება წარსადგენი ინფორმაციის სისრულის, ოპერატიულობის, ობიექტურობის და უტყუარობის გათვალისწინებით. საზოგადოება აქციონერებს უზრუნველყოფს განსაზღვრულ დოკუმენტებთან დაშვებით. აქციონერთა მოთხოვნის საფუძველზე საზოგადოება ვალდებულია წარუდგინოს მათ განსაზღვრული დოკუმენტების ასლები.

აქციონერებს უფლება აქვთ თავისუფლად განკარგონ საკუთარი აქციები მოქმედი კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად. აღრიცხვის სისტემა უზრუნველყოფს აქციებზე საკუთრების უფლებების აღრიცხვის საიმედოობას, ასევე აქციონერების კუთვნილი აქციების თავისუფლად და სწრაფად გასხვისების შესაძლებლობას.

აქციონერის საკუთრების უფლებების ნებისმიერი დარღვევისგან დაცვა ხორციელდება დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ აქციონერთა რეესტრის წარმოებით და შენახვით. აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. საკუთარი საქმიანობის წარმართვისას აქციონერთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საზოგადოების წესდებით და აქციონერთა საერთო კრების შესახებ დებულებით.

აქციონერთა საერთო კრებაზე საზოგადოებამ შესაძლებელია გამოაცხადოს აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდის თაობაზე, განაწილებას დაქვემდებარებულ მოგებასთან დაკავშირებით, მათი უფლებებისა და პრივილეგიების გათვალისწინებით. საზოგადოება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდაზე, მოგების არარსებობისას, დაუშვებელია ასევე დივიდენდების გაცემა იმ ოდენობით, რომელიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებს.

სს „კორპორაცია ქინძმარაული“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

VII. აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა (გაგრძელება)

საზოგადოების აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სავალდებულო წესით განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის, საზოგადოების აუდიტორის დამტკიცების, საზოგადოების წლიური ანგარიშის, წლიური ფინანსური ანგარიშის, მათ შორის საზოგადოების მოგება-ზარალის ანგარიშის (მოგების და ზარალის ანგარიშები) დამტკიცების, ასევე საზოგადოების მოგების (მათ შორის დივიდენდების გადახდა (გამოცხადება) და ზარალის ფინანსური წლის შედეგების მიხედვით განაწილების შესახებ საკითხები.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 29 ნოემბერს:

სს კორპორაცია „ქინძმარაულის“ გენერალური დირექტორი:



/თ.კონჭოშვილი/

სს კორპორაცია „ქინძმარაულის“ მთავარი ბუღალტერი:



/ვ.მაჭავარიანი/

სს „კორპორაცია ქინმმარაული“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

VII. აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა (გაგრძელება)

საზოგადოების აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სავალდებულო წესით განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის, საზოგადოების აუდიტორის დამტკიცების, საზოგადოების წლიური ანგარიშის, წლიური ფინანსური ანგარიშის, მათ შორის საზოგადოების მოგება-ზარალის ანგარიშის (მოგების და ზარალის ანგარიშები) დამტკიცების, ასევე საზოგადოების მოგების (მათ შორის დივიდენდების გადახდა (გამოცხადება) და ზარალის ფინანსური წლის შედეგების მიხედვით განაწილების შესახებ საკითხები.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 29 ნოემბერს:

სს კორპორაცია „ქინმმარაულის“ გენერალური დირექტორი:

/თ.კონჭოშვილი/

სს კორპორაცია „ქინმმარაულის“ მთავარი ბუღალტერი:

/ვ.მაჭავარიანი/